ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა

4100, ქ.სენაკი, შ.რუსთაველის ქ.№243
243, SH.RUSTAVELI STR., SENAKI, GEORGIA

Tel.: 0413 27660, 275016
E-mail: sakrebulo.senaki@gmail.com
Web address: www.senaki-sakrebulo.ge

განკარგულება:**გ-41. 41250297**
თარიღი:**29/01/2025**

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის დამტკიცებისა და შეფასების თაობაზე

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მოისმინა ანგარიში, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ეკონომიკური საკითხების კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და ,,სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის (დებულების) დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ნოემბრის №7 დადგენილების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის ,,ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. დამტკიცდეს სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში, დანართის შესაბამისად.
2. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიის 2024 წელს გაწეული მუშაობა შეფასდეს დადებითად.
3. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე .
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ხელმოწერიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, სენაკის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ, სენაკი, შ რუსთველის ქ. №247)

საბა ოდიშარია

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

ა ნ გ ა რ ი შ ი

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური საკითხთა კომისიის მიერ 2024 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია წარმოადგენს საკრებულოს მუდმივმოქმედ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს ორგანული კანონით „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტითა და სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთ კომისიის დებულებით განსაზღვრულ უფლებამოსილებათა განხორციელებას.

კომისია შექმნილია საკრებულოში საკითხების წინასწარი მომზადების და გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობის მიზნით. კომისია მუშაობას წარმართავს სამუშაო გეგმის მიხედვით. ასევე, განიხილავს საკრებულოში შემოსულ რიგგარეშე საკითხებს.

სოციალურ საკითხთა კომისია კოორდინირებულ მუშაობას ახორციელებს საკრებულოს კომისიებთან, მუნიციპალიტეტის მერიასთან და შესაბამის სამსახურებთან.

კომისია თავისი კომპეტენციის ფარგლებში საკრებულოს სხდომისთვის ამზადებს საკრებულოს გადაწყვეტილებათა პროექტებს, დასკვნებს, წინადადებებს, რეკომენდაციებს და წარუდგენს საკრებულოს ბიუროს.

განიხილავს წერილებს, რის თაობაზეც, არსებული წესით, მოახსენებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბიუროსა და საკრებულოს სხდომებს. საქართველოს კანონმდებლობით, საკრებულოს რეგლამენტითა და კომისიის დებულებით ახორციელებს მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისიამ 2024 წელს ჩაატარა 12 სხდომა, სადაც განხილულ იქნა 17 საკითხი. ასასევე ჩატარდა 1 საკრებულოს კომისიების გაერთიანებული სხდომა. კერძოდ:

16 თებერვალს:

1. ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრის“ 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის დამტკიცების თაობაზე
2. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის დამტკიცების თაობაზე
3. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშის დამტკიცების თაობაზე

15 მარტს:

1. ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრის“ ანგარიშის მოსმენა და შეფასება 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ
2. ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების“ ანგარიშის მოსმენა და შეფასება 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

18 აპრილს:

1. შ.პ.ს. ,,სენაკის საავადმყოფო-პოლიკლინიკური გაერთიანები”-ს მოსმენა და შეფასება 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ
2. შ.პ.ს. ,,სენაკის ამბულატორიულ-პოლიკლინიკური გაერთიანების” მოსმენა და შეფასება 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ

27 მაისი:

1. შ.პ.ს. ,,სენაკის სამშობიარო სახლი”-ს მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

04 ივნისი:

1. შ.პ.ს. ,,სენაკის ბავშთა საავადმყოფოს” მიერ 2023 წელს გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენის თაობაზე

16 ივლისი:

1. ა(ა)იპ სენაკის მუნიციპალიტეტის საფეხბურთო კლუბის 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

19 აგვისტო:

1. ა(ა)იპ "სენაკის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი"-ს 2024 წლის პირველ და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

12 სექტემბერს:

1. ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის გაერთიანების“ 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

23 სექტემბერი:

1. სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

2.სენაკის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

18 ოქტომბერს:

1. ა(ა)იპ „სენაკის მუნიციპალიტეტის ხელოვნების ცენტრი“-ს მიერ 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

11 ნოემბერს:

1. ა.(ა).ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობისა და კულტურის ცენტრი“-ს მიერ 2024 წლის პირველი და მეორე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

19-20 ნოემბერს საკრებულოს კომისიების გაერთიანებული სხდომა:

1. „სენაკის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვის თაობაზე

10 დეკემბერს:

1. ა.(ა)ი.პ. ,,სენაკის მუნიციპალიტეტის მზრუნველობამოკლებულთა კვების ცენტრის“ მიერ 2024 წლის პირველი, მეორე და მესამე კვარტალში გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიშის მოსმენისა და შეფასების თაობაზე

კომისიის სხდომებზე დასმულ კითხვებთან დაკავშირებით, მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ წარმოდგენილი იქნა დამატებითი ინფორმაციები. ზემოთ განხილულ საკითხებთან დაკავშირებით, საკრებულოს წარუდგენს წინადადებებს, რეკომენდაციებს და დასკვნებს

ა) განათლების, კულტურის და სპორტის განვითარების მუნიციპალურ პროგრამათა პროექტების შესახებ;

ბ) სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებების არასამეწარმეო (არაკომერციული) პირის ფორმით შექმნისა და მათი ფუნქციონირებასთან დაკავშირებულ საკითხების შესახებ;

გ) ადგილობრივი მნიშვნელობის ბიბლოთეკების, მუზეუმების, თეატრების, გამოფენების და სპორტულ-გამანჯასაღებელი ობიექტების საქმიანობის ხელშემწყობი მუნიციპალური პროგრამათა პროექტების შესახებ;

დ) ჯამრთელობის დავისა სანიტარულ -ეპიდემოლოგიურ მომსახურების მუნიციპალური პროგრამათა პროექტების შესახებ;

ე) მოსახლეობის შრომითი მოწყობისა და დასაქმების ხელშემწყობი მუნიციპალური პროგრამათა პროეტების შესახებ;

ვ) თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტიდან მოსახლეობის დამატებითი სოციალური მომსახურების სახეების დაფინანსების შესახებ.

ზ) შეზღუდული შესაძლებლობის მქონეპირთა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების პირობების დადგენის შესახებ.

თ) კანონმდებლობით დადგენილი წესით, უსახლკარო პირების თავშესაფრით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ.

ამავე პერიოდში განხილული იქნა სხვადასხვა შინაარსის განცხადება. რიგი წერილებისა განსახილველად გადაეგზავნა მუნიციპალიტეტის მერიას და მიღებული გადაწყვეტილებების შესახებ ეცნობა განმცხადებლებს. სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა კომისია განაგრძობს მუშაობას კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.